ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/23-049

ქ. ბათუმი 2023 წელი

ერთის მხრივ **შპს ,,სანდასუფთავება“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **სულხან ევგენიძის** სახით და მეორეს მხრივ, **მცირე მეწარმე ბესიკ გოგუაძის** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) სახით, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის, ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს სანდასუფთავების ტერიტორიაზე ელექტროსისტემის დამიწების მომსახურება (შემდგომში–,,მომსახურება“), კერძოდ:

N	დასახელება	საზ. ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	სალტე გალვანიზირებული 4*40მმ	გრძ/მ	115	11	1265
2	დამიწების ელექტროდი	ც	20	45	900
3	გლინურა 6.5მმ	გრძ/მ	25	2	50
4	დამიწების გამოცდის ოქმი			600	600
5	ქანჩ-ჭანჭიკი, საღებავი			75	75
6	სამონტაჟო სამუშაოები (დამიწების კონტურის მოწყობა 2 ცალი ადმინისტრაციის ტერიტორიაზე, 1 ცალი სასწორზე; მიწის გაჭრა 65გრძ/მ)			2000	2000
	სულ ჯამი				4890

კლასიფიკატორი – **CPV45310000,**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4890 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცდაათი)** ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან და თანმდევი მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სააანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია **შპს ,,სანდასუფთავების“** შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ზაურ თურმანიძე.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 60 დღის ვადაში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა.

5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და დროულობაზე.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.2. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 % ოდენობით.

8.2 თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 10 დღეს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით.

8.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გამოყენებული სამართალი

11.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	მცირე მეწარმე ბესიკ გოგუაძე
მის: ქ. ბათუმი,	მის: ბათუმი
ჯავახიშვილის ქუჩა #55	მამია კომახიძის ქ.26
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 61001059976
სს ,,საქართველოს ბანკი“	სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: BAGAGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE42BG0000000345868007
შპს ,,სანდასუფთავება“	**მცირე მეწარმე ბესიკ გოგუაძე**
დირექტორი	Besik Goguadze Digitally signed by Besik Goguadze Date: 2023.03.10 15:27:59 +04'00'
სულხან ევგენიძე	

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი სულხან ევგენიძე და შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ზაურ თურმანიძე, ვადასტურებთ, რომ მცირე მეწარმე ბესიკ გოგუაძესთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №ს/შ23-049, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი:

სულხან ევგენიძე

შპს „სანდასუფთავება“-ს შრომის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი

ზაურ თურმანიძე

Zaur Turmanidze

Digitally signed by Zaur Turmanidze
Date: 2023.03.13 14:48:51 +04'00'